



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ერეკლე კუხიანიძის 2017 წლის
ნოემბრიდან 2018 წლის ნოემბრის თვემდე გაწეული მუშაობის ანგარიში

საქართველოს ორგანული კანონის „თვითმმართველობის კოდექსი“ 88-ე მუხლის პირველი პუნქტისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ამომრჩევლებისთვის ანგარიშის წარდგენისა და ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრების გამართვის წესის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 ოქტომბრის №26-113 დადგენილების დანართი №2-ით დამტკიცებული წესის თანახმად, წარმოგიდგენთ ანგარიშს 2017 წლის ნოემბრიდან 2018 წლის ნოემბრის თვემდე გაწეული მუშაობის შესახებ.

- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ერეკლე კუხიანიძის აქტივობა:
- ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარე.
 - ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის წევრი.
 - ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ წევრი.
 - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობაში მონაწილეობა.
 - სხვა აქტივობები.

2017 წლის ნოემბრიდან 2018 წლის ნოემბრამდე გაწეული მუშაობის ანგარიში

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარის საქმიანობა

მე, როგორც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარემ, 2017 წლის 15 ნოემბრიდან (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარედ არჩევის დღიდან) 2018 წლის 1-ლ ნოემბრამდე, საქართველოს კანონმდებლობით, საკრებულოს რეგლამენტითა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 21 ივლისის №3-7 დადგენილებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში განვახორციელე შემდეგი სამუშაოები:

2017 წლის 15 ნოემბრიდან 2018 წლის 1-ლ ნოემბრამდე გაიმართა კომისიის 26 სხდომა.

ჩემი ხელმძღვანელობით მოწვეული და ჩატარებული იქნა კომისიის 24 სხდომა. გარემოს დაცვის კომისიის დებულების თანახმად, 2 (ორი) სხდომა ჩატარებული იქნა კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის, ბატონი ლევან ჯაფარიძის მიერ.

ჩემ მიერ მოწვეულ და ჩატარებულ კომისიის 24 სხდომაზე, განხილული იქნა კომისიის კომპეტენციას მიკუთვნებული შემდეგი 53 საკითხი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის წევრთა თანამდებობებზე დანიშვნის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (სულ: 4 პროექტი);
2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტი (სულ: 2 პროექტი);
3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 დეკემბრის №30-87 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (სულ: 2 პროექტი);
4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს რეორგანიზაციის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (სულ: 1 პროექტი);
5. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 21 ივლისის №3-7 დადგენილების მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, კომისიის თამჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის განსაზღვრის საკითხი.

6. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის #20-105 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტები (მათ შორის, დამატებითი შესწავლის მიზნით გადადებული ცალკეული საკითხები/წინადადებები) - სულ: 35 პროექტი;

კომისიის გადაწყვეტილებით, ის წინადადებები, რომლებიც სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის, ხოლო 2018 წლის 22 თებერვლიდან, ახალი, შესაბამისი უფლებამოსილი სამსახურის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის (ჩამოყალიბდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-16 დადგენილების საფუძველზე) მიერ არგუმენტირებული დასაბუთების და/ან დოკუმენტაციის გარეშე იქნა წარმოდგენილი, უარყოფითად შეფასდა ან/და დამატებითი შესწავლის მიზნით მათი განხილვა გადაიდო. ფუნქციური ზონების ცვლილებების (მათ შორის, კომისიის მიერ დამატებითი შესწავლის მიზნით გადადებული ან უარყოფითად შეფასებული წინადადებების/პოზიციების) თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები, შესაბამისი სამართლებრივი დასკვნების საფუძველზე, ეცნობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

7. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების მართვის მომსახურების ორგანიზების კონკრეტული ფორმის განსაზღვრაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (სულ: 1 პროექტი);
8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების და რაიონის გამგეობების დებულებების და საშტატო ნუსხების პროექტების თაობაზე („ქალაქ თბილისის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი) - სულ: 1 პროექტი;
9. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების „მწვანე ქალაქის“ დაფუძნების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (სულ: 1 პროექტი);

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და მისი საქმიანობის საგნად განისაზღვრა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული გამწვანებული ტერიტორიების, დასასვენებელი ადგილების, შადრევნების მოვლა-პატრონობა და მასთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებები.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის წინადადებით, საჭირო გახდა ცვლილების განხორციელება იურიდიული პირის სარეგისტრაციო მონაცემებში (კომპანიის დასახელება, იურიდიული მისამართი) და სამართლებრივი აქტის შესაბამის ჩანაწერებში ნაცვლად შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მწვანე ქალაქი“, იურიდიული პირის სახელწოდებად მიეთითა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ეკოსერვისის ჯგუფი“, ხოლო კომპანიის იურიდიულ მისამართად განისაზღვრა ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. 8. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დღეს გვაქვს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ეკოსერვის ჯგუფი“.

10. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (სულ: 1 პროექტი);

ჯანსაღი გარემოს უზრუნველყოფის მიზნით, დედაქალაქის არსებული ურბანული განვითარება საჭიროებს განაშენიანების რეგულირების ახალი პრინციპების დადგენას, ურბანული დაგეგმარების პროცესში სატრანსპორტო და გამწვანების საკითხების ინტეგრაციას, გამწვანებისა და სარეკრეაციო სივრცეების ზრდას, განაშენიანების პროცესში სატრანსპორტო პოლიტიკის გათვალისწინებას, ასევე, ქალაქებებითი კვლევის პროცესისა და ადმინისტრაციული წარმოების წესის სრულყოფას, რის გამოც, აუცილებელი გახდა ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტების შემუშავებაში თბილისის მერიის სხვადასხვა დარგობრივი სტრუქტურული ერთეულების მონაწილეობა, რომლებიც ქალაქის განვითარების ხედვაში სპეციალიზებული და სავალდებულო დასკვნებით მიიღებენ მონაწილეობას.

ზემოაღნიშნული პრინციპების ასახვა მოხდა „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში და გამწვანების მიმართულებით მოიცავს შემდეგ ასპექტებს:

- ურბანული განვითარების პროცესში ტერიტორიის გამწვანების უზრუნველყოფა - ქალაქთმშენებლობითი განვითარების პრიორიტეტი და წინაპირობა საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურასთან ერთად, ასევე, გახდა მწვანე ინფრასტრუქტურა.
- განაშენიანების რეგულირების გეგმით წარმოდგენილ ურბანულ გადაწყვეტაში ეკოლოგიური საჭიროების გათვალისწინება - მწვანე ნარგავებით გასაშენებელი ტერიტორიის გამოყოფის ვალდებულებად ჩამოყალიბდა.

გაუნაშენიანებელ ტერიტორიაზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავებისას, საპროექტო ტერიტორიის მინიმუმ 20% მწვანე ნარგავების გასაშენებლად უნდა იყოს გათვალისწინებული. რაც შეეხება განაშენიანებულ ტერიტორიას, ამგვარ ტერიტორიაზე განაშენიანების რეგულირების გეგმით მწვანე ნარგავების გაშენების გათვალისწინება დამოკიდებული გახდა საპროექტო კვლევაზე. წინასაპროექტო კვლევა განაშენიანების რეგულირების გეგმის პირველი ეტაპის - გეგმარებითი დავალების შემუშავებისთვის აუცილებელი დოკუმენტია და გეგმარებითი გადაწყვეტისათვის ყველა აუცილებელ საკვლევ მონაცემს მოიცავს, ხოლო განხორციელებული ცვლილებებით, სავალდებულო გახდა ამგვარ კვლევაში მწვანე ნარგავების დეტალური აღწერისა და მათი ხარისხობრივი შეფასების ასახვა.

ამასთანავე, გეგმარებითი დავალების შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმის თემატური ნაწილი ასევე უნდა მოიცავდეს სარეკრეაციო ტერიტორიების სისტემას - გამწვანების პროექტის ჩათვლით.

გარემოსდაცვითი საკითხების გათვალისწინებით განხორციელდება ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტების შემუშავება. განაშენიანების რეგულირების გეგმისა და ფუნქციური ზონების ცვლილების/დაზუსტების მიზნით მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ცვლილების შეტანის თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების პროცესში გათვალისწინებულია სავალდებულო სამსახურად გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეულის ჩართვა, რომლის დარგობრივი დასკვნის გათვალისწინება ადმინისტრაციული წარმოების განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულისთვის სავალდებულო გახდა.

11. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-55 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (სულ: 1 პროექტი);

ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესში განხორციელდა როგორც ტექნიკური, ასევე შინაარსობრივი ცვლილებები. თვისობრივად შეიცვალა სპეციალური ჭრის კონცეფცია და გაიწერა იმ საფუძვლების ჩამონათვალი, რომლის დროსაც დასაშვები გახდა სპეციალური ჭრის განხორციელება. აღნიშნული ცვლილების მიზანს წარმოადგენდა, რაც შეიძლება მაქსიმალურად შეზღუდულიყო სპეციალური ჭრები და დასაშვები გამხდარიყო მხოლოდ ისეთ საგამონაკლისო შემთხვევებში, როგორიცაა შენობა-ნაგებობების ტექნიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელება, გზების, მილსადენების მშენებლობა, რეკონსტრუქცია და რეაბილიტაცია, ასევე ჰიდროკვანძებისა თუ სხვა ხაზობრივი ნაგებობების უსაფრთხო ფუნქციონირების უზრუნველყოფა. ამასთანავე, ორმაგი და ბუნდოვანი

ინტერპრეტაციის თავიდან აცილების მიზნით, განიმარტა შენობა-ნაგებობების ტექნიკური უსაფრთხოება და დაზუსტდა ის შემთხვევები, რაც შეიძლება ჩაითვალოს შენობა-ნაგებობების ტექნიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. აღსანიშნავია, რომ სპეციალურ ჭრას დაქვემდებარა სასაფლაოებზე ხეების მოჭრა, თუ კი ის საფრთხეს უქმნის საფლავს ან მის დამხმარე ნაგებობას. ეს საკითხი აქამდე არ იყო დარეგულირებული, შესაბამისად, საფლავის მფლობელს არ ჰქონდა რაიმე სამართლებრივი საფუძველი, რომ მოეთხოვა სასაფლაოზე ხის მოჭრა. სპეციალური ჭრის განხორციელებისას, დაინტერესებული პირი არ იხდის რაიმე საფასურს. ამასთანავე, დეტალურად გაიწერა სპეციალური ჭრის ნებართვის მიღების პროცედურა, რომელიც აქამდე არ იყო დარეგულირებული.

ამის გარდა, დეტალურად დარეგულირდა ხის გადარგვის წინაპირობები, გაკეთდა დეკლარაციული ჩანაწერი, რომ მწვანე ნარგავების გადარგვას უნდა მიენიჭოს უპირატესობა მწვანე ნარგავების მოჭრასთან მიმართებით.

ასევე დარეგულირდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ხილ-კენკროვანი ნარგავების მოჭრისა და გადარგვის საკითხები.

ასევე დაზუსტდა იმ მწვანე ნარგავების დათვლის წესი, რომელიც შეიძლება დაქვემდებაროს მოჭრას სათანადო წესით გაცემული მშენებლობის ნებართვის არსებობის შემთხვევაში.

გარდა ამისა, ასევე დარეგულირდა მუნიციპალიტეტის ვალდებულება ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისას.

განხორციელებული ცვლილებებით გაფართოვდა იმ ექსპერტთა წრე, რომლებიც უფლებამოსილნი არიან გასცენ მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების შესახებ დასკვნა.

12. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ორი კომისიის (გარემოს დაცვის, ასევე, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიების) ერთობლივი სხდომის ფორმატში, 2018 წლის 21 ივნისის სხდომაზე (ოქმი №16) მოსმენილი იქნა სსიპ „ცხოველთა მონიტორინგის“ დირექტორის ინფორმაცია დედაქალაქის ტერიტორიაზე ურბანულ გარემოში მობინადრე უპატრონო ძალებთან დაკავშირებით.

სხდომაზე მოსმენილი ინფორმაციისა და დასმული შეკითხვების საფუძველზე გამოიკვეთა შემდეგი პრობლემები:

- 1) ცხოველთა ჰიპერპოპულაციების მართვის მიმართულებით შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელების აუცილებლობა, რაც მოიცავს, ერთიანი სახელმწიფო და მუნიციპალური გრძელვადიანი სამოქმედო გეგმის შემუშავებას, რაც, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს დედაქალაქში არსებული ცხოველების პოპულაციის მართვის ეფექტურობას, მეორე მხრივ, მთლიანად სახელმწიფოში დაარეგულირებს ცხოველთა ჰიპერპოპულაციის მართვის პრობლემას. რადგან

დღეს, მიუხედავად იმისა, რომ პოპულაციების მართვის მიზნით მაქსიმალურად ხდება სათანადო ღონისძიებების გატარება (მაგ., კასტრაცია-სტერილიზაციის საშუალებით), რეგიონებიდან და დედაქალაქის მეზობელი მუნიციპალიტეტიდან მიგრირებული ცხოველები, რომლებსაც შესაბამი მანიპულაციები არ აქვთ ჩატარებული, ხელს უწყობენ პოპულაციის ზრდას;

- 2) უპატრონო ცხოველებში (ძაღლებში) მომეტებული აგრესიის გამოვლენისას, მოსახლეობის დაცვის მიზნით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხი, რომელიც ორი მიმართულებით უნდა იქნას გადაწყვეტილი: პირველი, საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, შესაბამის სიტუაციებში ძაღლთან მოპყრობა - რა შემთხვევებში ავლენს აგრესიას ძაღლი, როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი ასეთ შეთხვევაში და მეორე, სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს წესდებასა (დებულებაში) და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოველთა (ძაღლების, კატების) მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის წესში (№7-28 დადგენილება 06.04.2015წ.) შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება აღნიშნული მიმართულებით.
 - 3) მეპატრონის მიერ ძაღლის სოციალური ქცევის კორექციის (აღზრდის) საკითხი, კერძოდ, სამართლებრივ ჩარჩოში უნდა მოექცეს ძაღლის აღზრდის საკითხი და პატრონმა საკუთარი ძაღლის ქცევის კორექციის (აღზრდის) ვალდებულება უნდა აიღოს;
 - 4) დედაქალაქში მოქმედი ცხოველთა ბაზრობის (დიღმის ტერიტორია) საკითხის მოწესრიგება;
 - 5) საკანონმდებლო ცვლილებების აუცილებლობა ერთი მხრივ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 259-ე მუხლისა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისი მუხლების გადახედვის (გამკაცრების) მიზნით და მეორე მხრივ, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსითა და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დარეგულირებული ერთი და იგივე სამართალდარღვევების გამიჯვნისა და დანაშაულის შესაბამისი კვალიფიკაციის მიმართულებით;
 - 6) კერძო თავშესაფრების საკითხის დარეგულირება;
 - 7) კერძო ვეტ.კლინიკების საკითხის მოწესრიგება.
13. კომისიის სხდომის ფორმატში, 2018 წლის 12 ივლისს (კომისიის სხდომის ოქმი №19) მოსმენილ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2018 წლის იანვრიდან ივნისის თვის ჩათვლით (6 თვის) გაწეული მუშაობის ანგარიში.
 14. მიწათსარგებლობის განახლებული გენერალური გეგმის პროექტი (სულ: 1 პროექტი).

კომისიის კომპეტენციას მიკუთვნებული სამართლებრივი აქტების პროექტების განხილვის შემდეგ, მომზადდა და საკრებულოს წარედგინა 47 სამართლებრივი დასკვნა.

გარდა ზემოაღნიშნულისა, კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებისა და კომპეტენციის ფარგლებში, ჩემი, როგორც გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარის ინიციატივით, კომისიამ საანგარიშო პერიოდში განახორციელა შემდეგი აქტივობები:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 სექტემბრის №23-93 დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გარემოს დაცვითი სტრატეგია 2015-2020“-ის შუალედური ანალიზი, რათა გამოკვეთილიყო სტრატეგიის პრიორიტეტული მიმართულებით დასახული ამოცანების მისაღწევად 2015 წლის სექტემბრის თვიდან დღემდე, რა ღონისძიებები იქნა გატარებული, რომელი მათგანია შესრულების პროცესში და რომელი მიმართულებებითაა საჭირო შესაბამისი მუშაობის გაგრძელება.

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გარემოს დაცვითი სტრატეგიის“ ამოცანების მიხედვით, კომისიის მიერ შესაბამის კომპეტენტურ სახელმწიფო და მუნიციპალურ ორგანოებთან (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, ასევე, ზედამხედველობის საქალაქო სამსახური, სატრანსპორტო საქალაქო სამსახური, ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური) თანამშრომლობის შედეგად მიღებული პირველადი ინფორმაციის საფუძველზე გამოიკვეთა შემდეგი ვითარება:

1. ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მიმართულებით შესაბამის სახელმწიფო და/ან მუნიციპალურ სამსახურებთან კოორდინირებით 2015 წლის სექტემბრიდან დღემდე განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:
 - საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსა და სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო ჩართულობით, ჰაერის ხარისხის გამზომი ავტომატური სადგურის მეშვეობით, უწყვეტ რეჟიმში ხდება შემდეგი დამაბინძურებელი ნივთიერებების მონიტორინგი: უმცირესი ზომის მყარი წაწილაკები, აზოტის დიოქსიდი, აზოტის მონოქსიდი, აზოტის ოქსიდები, გოგირდის დიოქსიდი, ნახშირჟანგი და მიწისპირა ოზონი.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო თბილისში ჰაერის ხარისხის მონიტორინგს ახორციელებს 4 ავტომატური სადგურის საშუალებით (ვაშლიჯვარში განთავსებული ავტომატური სადგური ექსპლუატაციაში შევიდა 2012 წელს, ხოლო წერეთლის გამზირზე, ყაზბეგის გამზირსა და ვარკეთილი 3-ში განთავსებული სადგურები - 2016 წელს).

მონიტორინგის არეალის გაფართოებისა და განსაზღვრული კომპონენტების რაოდენობის გაზრდის მიზნით სააგენტომ 2015 წლიდან დაიწყო ატმოსფერული ჰაერის ხარისხის ინდიკატორული გაზომვები. სულ ჩატარდა 11 ეტაპი, აქედან 2017 წელს ქ.

თბილისში ჩატარდა 110 ინდიკატორული გაზომვა ოთხ ეტაპად ქალაქის 21 წერტილში. აქედან აზოტის დიოქსიდის - 80, გოგირდის დიოქსიდის - 6, ოზონის - 12 და ბენზოლის 12 გაზომვა. ყველგან დაფიქსირდა გოგირდის დიოქსიდისა და ოზონის დაბალი ინდექსები. აზოტის დიოქსიდის ინდექსი მხოლოდ 15 შემთხვევაში იყო დაბალი, 55 შემთხვევაში - საშუალო, ხოლო 10 შემთხვევაში - მაღალი. ბენზოლის ინდექსი 9 შემთხვევაში იყო დაბალი, ხოლო 3 შემთხვევაში - საშუალო.

- საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსა და სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ჩართულობით, იაპონიის მთავრობის მხარდაჭერით, 2016 წლის სექტემბერში, თბილისში დამონტაჟდა 3 ახალი ჰაერის ხარისხის გამზომი ავტომატური სტაციონარული სადგური.
- 2016 წლის ნოემბრიდან სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ვებ-გვერდზე ყოველდღიურად თავსდება ინფორმაცია ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შესახებ (<http://nea.gov.ge/ge/service/haeris-monitoringi/14/haeris-dabindzurebisoveldgiuribuletini/>).
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური ქალაქ თბილისში, ატმოსფერული ჰაერის მონიტორინგის მიზნით ახორციელებს სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს“ მიერ ატმოსფერულ ჰაერზე დაკვირვების სტაციონარული პუნქტებისა და ინდიკატორული გაზომვების შედეგად მიღებული ინფორმაციის შეგროვებას და სისტემატიზაციას; ასევე, აღნიშნული სამსახური სამეცნიერო კვლევით ცენტრ სმარტ-ლაბთან (SMART-Lab) ურთიერთანამშრომლობის საფუძველზე ახორციელებს ატმოსფერული ჰაერის მონიტორინგს, რაც მოიცავს ინფორმაციის დამუშავების შედეგად მიღებული მონაცემების პეიროდულად მიწოდებას ქალაქ თბილისის მერიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისთვის (მაგ., ტრანსპორტის საქალაქო სამსახური, ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური), რომლებიც აღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე, გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის მონაწილეობით, გეგმავენ და ახორციელებენ სხვადასხვა ღონისძიებებს დედაქალაქში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების შემცირების მიზნით.
- სატრანსპორტო ნაკადების მართვის ოპტიმიზაციის მიზნით, დედაქალაქში აშენდა საგზაო მოძრაობის კონტროლისა და მართვის ავტომატიზებული სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სატრანსპორტო ნაკადების პარამეტრების ინფორმაციის შეგროვებას, დამუშავებასა და მათ საფუძველზე მოძრაობის ოპტიმალური რეჟიმებით ნაკადების რეგულირებას. ავტომატიზებულ სისტემასთან მიერთებული შუქნიშნებით შესაძლებელია ავტომატურად იმართოს საგზაო მოძრაობა. შუქნიშნის მუშაობის მახასიათებლების ავტომატური ცვლილება საშუალებას იძლევა მაქსიმალურად შემცირდეს დაყოვნება გზაჯვარედინებზე.

- „საქალაქო და საქალაქთაშორისო საზოგადოებრივი ტრანსპორტის შემდგომი განვითარება/განახლების (ნაკლებად დამბინძურებელი სატრანსპორტო საშუალებების დანერგვა, როგორიცაა ელექტროტრანსპორტი და სხვ.) მიზნით, 2016 წლიდან მგზავრებს ემსახურება ევროპული სტანდარტის ორსართულიანი Stadler Kiss მოდელის მატარებელი. თბილისიდან ზღვისპირა რეგიონების მიმართულებით მგზავრთა გადაყვანა დაიწყო კომფორტული „METRO“-ს ავტობუსების საშუალებით. 2015 წელს დაიწყო თბილისი მეტროს ახალი 23-ე სადგურის მშენებლობა. გაიხსნა 2 საბაგირო. 2016 წლიდან თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ დაიწყო ავტობუსების პარკის განახლება. ავტოპარკს დაემატა დიზელთან შედარებით, ეკოლოგიურად გაცილებით უფროს სუფთა საწვავზე - ბუნებრივ აირზე მომუშავე ევრო 6 კლასის 146 გერმანული წარმოების შშმ პირებზე ადაპტირებული ავტობუსი.

განხორციელების პროცესშია:

- საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 47-ე მუხლის თანახმად, საქართველოს კანონის „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ (ძალადაკარგულია 2018 წლის 1-ლი იანვრიდან საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ ძალაში შესვლის საფუძველზე) მე-4 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ეკოლოგიური ექსპერტიზისადმი დაქვემდებარებული იმ საქმიანობების (გარდა ნარჩენების მართვის კოდექსით განსაზღვრული არსებული ნაგავსაყრელების ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საქმიანობებისა და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ ამოქმედებამდე აშენებული ელექტროგადამცემი ხაზებისა და საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებისა, მათზე განთავსებული ხიდებისა, გზაგამტარი გვირაბებისა და მათი საინჟინრო დაცვის ნაგებობებისა) თაობაზე შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება, რომელთა განხორციელებაც 2015 წლის 1 ივნისამდე დაიწყო და რომლებსაც არა აქვს გარემოზე ზემოქმედების ნებართვა ან მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილება. საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების უფლების მისაღებად საქართველოს გარემოსა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიმართოს 2019 წლის 1 ივნისამდე.

აღნიშნული ობიექტებიდან ნაწილს უკვე წარდგენილი აქვს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში ეკოლოგიური აუდიტის ანგარიში და მიმდინარეობს წარმოება, ხოლო ნაწილ კომპანიებზე სამინისტროს მიერ მიღებულია გადაწყვეტილება საქმიანობის გაგრძელების შესახებ.

- სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მოდელირებისთვის, მიმდინარეობს ერთობლივი სამუშაოები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან იულიხის კვლევითი ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელთა ჩართულობით.

2. წყლის რესურსების მიმართულებით შესაბამის სახელმწიფო და/ან მუნიციპალურ სამსახურებთან კოორდინირებით 2015 წლის სექტემბრიდან დღემდე განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური, თავის მხრივ, ყოველწლიურად ბიუჯეტის შესაბამისი კოდის ასიგნებების ფარგლებში ახორციელებს სანიაღვრე კოლექტორებისა და ქსელების გამართულად ფუნქციონირების მონიტორინგის პროცესზე ზედამხედველობას, სანიაღვრე კოლექტორების მშენებლობის და რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის პროცესების ორგანიზებასა და კონტროლს.

განხორციელების პროცესშია:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის მიერ სანიაღვრე სისტემების რისკებთან შესაბამისობაში მოყვანა; სანიაღვრე სისტემის სპეციალური გეგმის შემუშავება, რომელიც უნდა გახდეს ქალაქის სივრცითი დაგეგმარების ნაწილი და რომელიც ასახავს კონკრეტულ ვალდებულებებს, პასუხისმგებლობებს და სრულფასოვანი მონიტორინგის სისტემას და შესრულების მექანიზმებს;

სამომავლოდ იგეგმება:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის მიერ კუს და ლისის ტბების, ასევე, მდინარე თემქისხევის კვლევები, წყლის ხარისხის განსაზღვრისა და შესაბამისი გამასწორებელი გეგმა-გრაფიკის შემუშავების მიზნით, რის შემდეგაც კონკრეტულად განისაზღვრება იმ ღონისძიებათა ჩამონათვალი, რომლის განხორციელებაც აუცილებელი იქნება აღნიშნული ტბებისა და მდინარის წყლის ხარისხის გასაუმჯობესებლად და შემდგომში, ამ ობიექტების სარეკრეაციო ფუნქციით გამოყენებისათვის. მაგალითად, ქალაქ თბილისში, „თემქის ხევი“-ს ტერიტორიაზე რეკრეაციული ზონის მოწყობა.
- თბილისის ზღვის შემოგარენის კვლევა წყალსაცავის სანიტარული დაცვითი ზონების საზღვრების დასადგენად არსებული კანონმდებლობის და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს, №297/6 ბრძანების შესაბამისად და საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით. კვლევის შედეგად და ფაქტობრივი სიტუაციის გათვალისწინებით უნდა დადგინდეს პირველი, მეორე და საჭიროების შემთხვევაში, მესამე სანიტარული დაცვის ზონის ზუსტი საზღვრები და განისაზღვროს დაცვითი/გასატარებელი ღონისძიებები. განიმარტოს და დაზუსტდეს არსებული კანონმდებლობა, მისი მოთხოვნები და ტერმინები. გამოვლინდეს სამართლებრივი აქტების მოთხოვნებთან შეუსაბამო განაშენიანებები, გაცემული სამშენებლო ნებართვები და განვითარების

პროექტები, მათთვის დადგინდეს დაცვითი, შემარბილებელი და მაკომპენსირებელი ღონისძიებები. აღნიშნულ კვლევას განახორციელებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური.

3. ბიომრავალფეროვნება და ურბანული გარემოს მიმართულებით შესაბამის სახელმწიფო და/ან მუნიციპალურ სამსახურებთან კოორდინირებით 2015 წლის სექტემბრიდან დღემდე განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებასა და, ასევე, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკურებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში, 2018 წლის თებერვლის თვეში, განხორციელდა ცვლილებები ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვის მიღების პროცესში გარემოსდაცვითი ინტერესების მოთხოვნების მაქსიმალურად უზრუნველყოფის მიზნით. გარდა ამისა, აღნიშნული ცვლილების საფუძველზე, სავალდებულო გახდა გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის მონაწილეობა ნებართვის მიღების პროცესში, რაც უზრუნველყოფს როგორც ნებართვის მიღების პირველივე სტადიაზე ეკოლოგიური საჭიროების გათვალისწინებას, ასევე, ნებართვის მფლობელის მიერ მშენებლობის დასრულებისას გამწვანებისთვის გამოყოფილი სივრცის (გამწვანების კოეფიციენტი - კ3) გამწვანებას წინასწარ შეთანხმებული გამწვანების პროექტით, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის თბილისის მწვანე საფარს.
- ქალაქ თბილისის მთავრობის მიერ დამტკიცდა იმ ხეების ნუსხა, რომლებიც შეესაბამება ქალაქ თბილისის კლიმატსა და ლანდშაფტს. აღნიშნული ხეების სია დაეხმარება როგორც ქალაქის მერიას გამწვანების ღონისძიებების განხორციელებაში, ასევე, კერძო სექტორს, რომლებიც მშენებლობის ნებართვის გაცემის პირობების ფარგლებში, ახორციელებენ გამწვანებით სამუშაოებს.
- მიმდინარე წლის გაზაფხულზე გამწვანების ტრადიციული ღონისძიებების ფარგლებში სრულად განახლდა რუსთაველის გამზირზე არსებული თარგები, მოწყო სარწყავი სისტემები, რაც ხელს შეუწყობს არსებული მწვანე ნარგავების გახარებას და შემდგომ მოვლა-პატრონობას. რუსთაველის გამზირზე, 3975 კვ.მ. ფართობზე, ჯამში, 800-მდე სხვადასხვა სახეობის ფორმირებული ბუჩქი დაირგო.
- გენ.გეგმის პროექტის დამუშავება, რომელშიც ჩართული იყო მუნიციპალური სამსახურები, მათ შორის, გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური. აღნიშნულმა სამსახურმა მონაწილეობა მიიღო გენ.გეგმის საკანონმდებლო ბაზის შემუშავებაში, გენ.გეგმის კორექტირების, ფუნქციური ზონების შედგენისა და თემატური რუკების დამუშავების პროცესში.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის
მიერ განხორციელების პროცესშია:

- მწვანე საფარის (ზონების) მოვლა/პატრონბა და გაშენება (ხე-მცენარეების ფიტოსანიტარული კვლევა, აგროტექნიკური ღონისძიებების (წამლობა) გატარება; ხე-მცენარეების ფორმირება/გადაბელვა, ზეხმელი და ავარიული ხეების მოჭრა, დამუშავება და გატანა; მოვლითი ჭრა შემოერთებულ ტყეებში; ზეხმელი ფიჭვის ნარგავების მოჭრა-გატანა; თბილისის სხვადასხვა ტერიტორიების გამწვანება თანმდევი (მოვლა) მომსახურება; რეკრეაციული და მწვანე ზონების ინვენტარიზაცია;
- ინვენტარიზაციის სტრატეგიის შემუშავება, რომელიც მოიცავს დეტალური გეგმის შემუშავებას ურბანული მწვანე სივრცეების მიმართულებით, საუკეთესო პერიოდის შერჩევას, ფინანსური და ტექნიკური რესურსების განხილვას, გადანაწილებას და სხვ.
- არსებული მწვანე სივრცეების აღდგენა (მაგ.: გლდანის მე-6 მრ/, კორპ.№7-20-ს შორის ტერიტორიაზე არსებული საზოგადოებრივი სკვერი, გოძიაშვილის სახელობის ბაღი და წურწუმიას ქუჩა №4-ის მიმდებარედ არსებულ სკვერი, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირზე №47 და №49 კორპუსებს შორის არსებულ სკვერი).
- ასევე, 2018 წლის განმავლობაში ეტაპობრივად ხორციელდება იმ მოწყვლადი უბნების იდენტიფიცირება, რომელთა მწვანე განვითარებაც გააუმჯობესებს გარემოს ხარისხობრივ მდგომარეობას. მაგალითად, გმირთა მოედანი, რომელიც წარმოადგენს მწვანე სივრცისგან აბსოლუტურად მოწყვეტილ ტერიტორიას, სადაც დაბინძურების მაღალი მაჩვენებელი ვლინდება. აღნიშნულის გათვალისწინებით, გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური გეგმავს არსებული ესტაკადის სრულად გამწვანებას სუროს საშუალებით.
- ინფრასტურუქტურული პროექტები. ამ ეტაპზე მიმდინარეობს რამდენიმე ცენტრალური უბნის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელთა პროექტირებაში რამდენიმე მუნიციპალური სამსახური (მათ შორის, გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური) აქტიურად მონაწილეობს.

სამომავლოდ (2018-2020 წ.წ.) იგეგმება შემდეგი ღონისძიებების განხორცილება:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული შუა და გზაგამყოფი ზოლების რეაბილიტაცია.
- ურბანული ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება-განვითარების შესაძლო გზების იდენტიფიცირების მიმართულებით სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება;

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის მიერ ინვენტარიზაციით გათვალისწინებული სამუშაოების ჩატარება (დაწყების პერიოდი: 2019 წელი);
- ქალაქის ტერიტორიაზე არსებული 9 დიდი პარკის სრული რეაბილიტაცია (პერიოდი: 2018-2020 წლები). ამ ეტაპზე მიმდინარეობს ვაკის პარკისა და ვერის ბაღის პროექტების სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება.
- კერძო კომპანიებთან აქტიური კომუნიკაცია, რათა გაიზარდოს მათი ჩართულობა მწვანე სივრცეების განვითარების მიმართულებით. ამ ეტაპზე, დაინტერესებულია 2 კომპანია და მათთან ერთად იგეგმება 2 არსებული სკვერის რეაბილიტაცია:

 - 1) კოსტავას გამზირზე არსებული სკვერის რეაბილიტაციას გეგმავს კლინიკა ენ მედიცი (ს/კ №01.10.13.040.109);
 - 2) ბედიას ქუჩაზე არსებული სკვერის რეაბილიტაციას გეგმავს შპს "ვილაჯეო". (ს/კ №01.14.01.007.282).

ამ ეტაპზე, მიმდინარეობს დიზაინის შერჩევა კომპანიების მიერ.

- ახალი მწვანე სივრცეების განვითარება ქალაქის ურბანულ საზღვრებში, საწყის ეტაპზე მოეწყობა 2 ახალი საქალაქო მნიშვნელობის პარკი (ამ ეტაპზე მიმდინარეობს შესაბამისი, ადვილად მისადგომი ტერიტორიების შერჩევა).

4. მყარი ნარჩენების მართვის მიმართულებით შესაბამის სახელმწიფო და/ან მუნიციპალურ სამსახურებთან კოორდინირებით განხორციელების პროცესშია:
- ნარჩენების მართვის 5-წლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება, რომელიც დაიწყო გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა USAID ორგანიზებითა და „კავკასიის არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის“ (CENN) მხარდაჭერით. სამოქმედო გეგმაში დეტალურად იქნება წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის პოლიტიკა და ხედვა ნარჩენების მართვის საკითხებთან დაკავშირებით. აღნიშნული გეგმა სრულად იქნება შესაბამისობაში ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგითა და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ნარჩენების მართვის იერარქიასა (რაც გულისხმობს პრევენციას, მეორად გამოყენებას, რეციკლირებას, აღდგენასა და ნაგავსაყრელზე გარემოზე უსაფრთხო გზით განთავსებას) და ძირითად პრინციპებთან.

სამომავლოდ (2018-2020წ.წ.) იგეგმება შემდეგი ღონისძიებების განხორცილება:

- მუნიციპალური ნარჩენის სეპარირებული შეგროვების სისტემის დანერგვა (2019 წ; განმახორციელებელი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია).
5. კლიმატის ცვლილებისა და ენერგოეფექტურობის მიმართულებით შესაბამის სახელმწიფო და/ან მუნიციპალურ სამსახურებთან კოორდინირებით განხორციელების პროცესშია:

- სახელმწიფო პოლიტიკისა და სტრატეგიის შემუშავება კლიმატის ცვლილებისა და ენერგოეფექტურობის მიმართულებით, ასევე, კლიმატის ცვლილების პროცესის შემარბილებელი ეროვნული გეგმის შემუშავების ორგანიზება და კოორდინაცია, რომელსაც ახორციელებს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

სამომავლოდ (2018-2020წ.წ.) იგეგმება შემდეგი ღონისძიებების განხორცილება:

- კლიმატის ცვლილების პროცესის შემარბილებელი ეროვნული გეგმის შემუშავების შემდეგ, საკითხის მუნიციპალურ დონეზე შემუშავება და განხორციელება (განმახორციელებელი ქალაქ თბილისის მერია).
- 6. სტიქიური მოვლენები/ბუნებრივი კატასტროფების (მათ შორის, სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის) მიმართულებით შესაბამის სახელმწიფო და/ან მუნიციპალურ სამსახურებთან კოორდინირებით 2015 წლის სექტემბრიდან დღემდე განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:
- 2017 წელს რეგიონალური მონიტორინგისას საქართველოს მასშტაბით შეფასდა ყველა მხარის 1042 დასახლებული პუნქტი და გეოლოგიური საშიშროების ქვეშ მყოფი ინფრასტრუქტურული ობიექტები, მათ შორის გამოვლენილი იქნა ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე არსებული გეოლოგიური პროცესის საშიშროების რისკის ზონაში მოქცეული 29 ობიექტი;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის (ამჟამინდელი ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური) მიერ 2015 წლის 13 ივნისის სტიქიის შემდგომი სტიქიური უბედურების თავიდან აცილების მიზნით მოხდა სხვადასხვა პრევენციული ზომების გატარება, მათ შორის, მდ. ვერეს ხეობაში ცხაურის ტიპის ნატანდამჭერი ჰიდროტექნიკური ნაგებობების საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვა, ზემო ვეძისის 43ბ-ს მიმდებარედ სანიაღვრე ქსელის მოწყობა და მდ. ვერეს კალაპოტის ფორმირების სამუშაოების განხორციელება.

განხორციელების პროცესშია:

- თბილისის ტერიტორიაზე საველე სამუშაოები გეოლოგიური პროცესების საშიშროების რისკის ზონაში არსებული ობიექტების გამოსავლენად.

სამომავლოდ (2018-2020წ.წ.) იგეგმება შემდეგი ღონისძიებების განხორცილება:

- 2019 წლისთვის იგეგმება გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე არსებული ბუნებრივი რისკების შემცველი ტერიტორიების რუკის შედგენა, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურისთვის და აღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე სამსახურის მიერ მოხდება შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება.

7. გარემოსდაცვითი მმართველობის მიმართულებით 2015 წლის სექტემბრიდან დღემდე განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2018 წლის 16 იანვარს №10-11 დადგენილებით დამტკიცდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულება, რომლის საფუძველზეც დედაქალაქის გარემოსდაცვითი მმართველობის სფეროში სრულუფლებიანი მანდატის მქონე, მრავალპროფილიანი სამსახური ჩამოყალიბდა. სამსახურის ამოცანები და ფუნქციები გაფართოვდა და განისაზღვრა შემდეგი სახით:

სამსახურის ამოცანები (№10-11 დადგენილება მე-2 მუხლი):

- 1) თბილისის ტერიტორიაზე გარემოს დაცვისა და ურბანული ეკოსისტემების მართვის ერთიანი პოლიტიკის შემუშავება;
- 2) თბილისის ტერიტორიაზე ენერგოეფექტურობისა და რესურსაღდგენის სფეროში მუნიციპალური პოლიტიკის შემუშავების ხელშეწყობა;
- 3) ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის მართვის სფეროში მუნიციპალური პოლიტიკის შემუშავება და განხორციელების ხელშეწყობა;
- 4) თბილისის ტერიტორიაზე განსაკუთრებული მნიშვნელობის სარეკრეაციო, ლანდშაფტურ-სარეკრეაციო და სარეკრეაციო ზონების განვითარების, გაუჯობესებისა და განაშენიანების ერთიანი სტანდარტის ხელშეწყობა.

ხოლო სამსახურის მირითად ფუნქციებად განისაზღვრა: თბილისის გარემოს დაცვის, მწვანე ინფრასტრუქტურის განვითარების, ლანდშაფტურ-სარეკრეაციო და სარეკრეაციო ზონების დაგეგმარების, მუნიციპალური მნიშვნელობის ტყის მართვის უზრუნველყოფა და სახელმწიფო ორგანოებთან თანამშრომლობით ჯანსაღი გარემოს შენარჩუნება. დედაქალაქში განხორციელებული ღონისძიებების ეკოლოგიური ეფექტის შეფასება, გარემოსდაცვით სფეროში არსებული პრობლემების გამოვლენა და ამ პრობლემების გადასჭრელად რეკომენდაციების შემუშავება, მშენებლობის ნებართვის გაცემის ან განაშენიანების რეგულირების გეგმის შემუშავების პროცესში კანონმდებლობით დადგენილი წესით მონაწილეობა და სხვ.

უნდა აღინიშნოს, რომ 2018 წლის 16 იანვრამდე არსებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის ფუნქციები ფაქტობრივად შემოიფარგლებოდა მხოლოდ გამწვანებითა და მწვანე ზონებისა და ბალ-სკვერების მოვლა-პატრონობით და არ პასუხობდა დედაქალაქის გარემოსდაცვითი მიმართულებით არსებულ გამოწვევებს.

- განისაზღვრა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის როლი და ფუნქცია მერების შეთანხმების პროცესში.

- განხორციელდა მუნიციპალური ორგანოების ფუნქციების გამიჯვნა (მაგ; შიდაკვარტალური ტერიტორიების მოვლა-პატრონობა გადაეცა რაიონულ გამგეობებს და სხვ.).

განხორციელების პროცესშია:

- გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის თანამშრომლების გადამზადება ისეთ მნიშვნელოვან სფეროებში, როგორიცაა: წყლის რესურსები, ჰაერი, კლიმატი, ნარჩენების მართვის მიმართულებები და სხვა.
- გარემოსდაცვითი მმართველობის მიმართულებით გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური თანამშრომლობს სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სახელმწიფო უწყებებთან, მათ შორის გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან.
- 8. გარემოსდაცვითი განათლების, ცნობიერების ამაღლებისა და საზოგადოების ჩართულობის მიმართულებით შესაბამის სახელმწიფო და/ან მუნიციპალურ სამსახურებთან კოორდინირებით, 2015 წლის სექტემბრიდან დღემდე განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:
 - ურბანული მწვანე სივრცეების (UGS) განვითარებაში საზოგადოების ჩართულობისა და გარემოსდაცვით საკითხებთან მიმართებაში საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიმართულებით შემუშავდა საპროექტო წინადადება და დონორ ორგანიზაციასთან ერთად მიმდინარე წლის შემოდგომაზე განხორციელდება პროექტები, რომლის ფარგლებშიც ჩატარდება არაერთი შეხვედრა და დისკუსია, შედეგად კი, საზოგადოებისა და სხვა კერძო ორგანიზაციების ჩართულობით შემუშავდება კონკრეტული პრობლემების გადაჭრის გზები.

განხორციელების პროცესშია:

- თბილისის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურისა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასთან (GIZ) ერთობლივად ხორციელდება პროექტი - „ბრიომრავალფეროვანი თბილისი“.
- პროექტის ფარგლებში ეწყობა ექსკურსიები თბილისის მასშტაბით, პარკებში და სარეკრეაციო ზონებში, სადაც დაინტერესებული მოქალაქეები გამოცდილ ექსპერტებთან ერთად ეცნობიან ურბანულ ბიომრავალფეროვნებას.
 - სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებისთვის ხორციელდება სხვადასხვა კერძო და სახელმწიფო ორგანოებთან თანამშრომლობით, ისეთ მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა: ნარჩენების მართვა, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება, წყლის რესურსების დაცვა, ბიომრავალფეროვნება, კლიმატი და სხვ.

- გარემოს დაცვის კომისიამ ასევე შეისწავლა ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების გაჩეხვა/დაზიანების ფაქტებზე განხორციელებული რეაგირების სტატისტიკა 2014 წლიდან 2018 წლის 16 მაისის მდგომარეობით და გამოვლინდა შემდეგი მონაცემები:
- 2014 წელს - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ შედგა 88 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, ხოლო შსს-ში შემდგომი რეაგირებისთვის გადაიგზავნა 22 საქმე;
- 2015 წელს - შედგა 30 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, შსს-ში შემდგომი რეაგირებისთვის გადაიგზავნა 71 საქმე;
- 2016 წელს - შედგა 52 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, შსს-ში შემდგომი რეაგირებისთვის გადაიგზავნა 70 საქმე;
- 2017 წელს - შედგა 74 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, შსს-ში შემდგომი რეაგირებისთვის გადაიგზავნა 80 საქმე;
- 2018 წლის 1-ლი იანვრიდან 16 მაისამდე - შედგა 29 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, შსს-ში შემდგომი რეაგირებისთვის გადაიგზავნა 17 საქმე.

- გარემოს დაცვის კომისიაში, ცნობის სახით შემოსული სახელმწიფო აუდიტის სამსახურის „ქალაქ თბილისის მასშტაბით ავტოტრანსპორტის გამონაბოლქვით გამოწვეული ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების შემცირების ღონისძიებების ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშის“ (წერილი №07-031808049-03 21.04.2018 წ.) საფუძველზე, კომისიამ, მიზანშეწონილად მიიჩნია განხორციელებინა დედაქალაქის ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ხარისხის შესწავლა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩემი, როგორც გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარის ინიციატივით, კომისიამ, შესაბამისი მონაცემებისა და ინფორმაციის მოპოვების მიზნით, წერილობით მიმართა კომპეტენტურ სახელმწიფოს და ადგილობრივ ორგანოებს. კომისიის მიერ გამოთხოვილი ინფორმაციის საფუძველზე გამოიკვეთა შემდეგი გარემოებანი.

2018 წლის 30 აპრილს, კომისიამ საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით (წერილი №03-03181207) მიმართა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს. აღნიშნული წერილის საფუძველზე, კომისიამ მიიღო შემდეგი სახის ინფორმაცია:

საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მეორე ეროვნული პროგრამის მე-3 თავით განსაზღვრული გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნების მისაღწევად გათვალისწინებული შვიდი ღონისძიებებიდან განხორციელდა შემდეგი:

1. „ჰაერის ხარისხის გამზომი ავტომატური სადგურის შეძენა და ამოქმედება“ - ნიდერლანდების სამეფოს მხარდაჭერით, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსა და სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო ჩართულობით შეძენილ იქნა და 2013 წელს ამოქმედდა საქართველოში პირველი ჰაერის ხარისხის გამზომი ავტომატური სადგური. სადგური უწყვეტ რეჟიმში ახდენს შემდეგი დამაბინძურებელი ნივთიერებების მონიტორინგს: უმცირესი ზომის მყარი ნაწილაკები, აზოტის დიოქსიდი, აზოტის მონოქსიდი, აზოტის ოქსიდები, გოგირდის დიოქსიდი, ნახშირეუნგი და მიწისპირა ოზონი.

2. „ჰაერის ხარისხის მოდელირების კომპიუტერული პროგრამის შეძენა და დანერგვა“. ნიდერლანდების სამეფოს მხარდაჭერით, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსა და სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ჩართულობით ბრიტანული კომპანიის (Cambridge Environmental Research Consultants) მიერ 2014 წელს შეიქმნა თბილისის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის კომპიუტერული მოდელი.

3. „ჰაერის ხარისხის გამზომი ავტომატური სტაციონარული ახალი სადგურის შეძენა და ამოქმედება საქართველოს ქალაქებში“. 2016 წლის პირველ ნახევარში საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ძალისხმევით ჰაერის ხარისხის გამზომი ავტომატური სტაციონარული თითო ახალი სადგური ამოქმედდა ქ. ბათუმსა და ჭიათურის მუნიციპალიტეტში. 2016 წლის სექტემბერში იაპონიის მთავრობის მხარდაჭერით, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსა და სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ჩართულობით თბილისში დამონტაჟდა 3 ახალი ჰაერის ხარისხის გამზომი ავტომატური სტაციონარული სადგური.

4. „საზოგადოებისათვის ჰაერის ხარისხის ინფორმაციის დროული და იოლი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ინტერნეტ პორტალის საშუალებით“. 2016 წლის ნოემბრიდან სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ვებგვერდზე ყოველდღიურად თავსდება ინფორმაცია ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შესახებ (<http://nea.gov.ge/ge/service/haeris-monitoringi/14/haeris-dabindzurebisoveldgiuribuletini/>).

5. „სატრანსპორტო ნაკადების მართვის გაუმჯობესება/ოპტიმიზაცია თბილისში“. სატრანსპორტო ნაკადების მართვის ოპტიმიზაციის მიზნით დედაქალაქში აშენდა საგზაო მოძრაობის კონტროლისა და მართვის ავტომატიზებული სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სატრანსპორტო ნაკადების პარამეტრების ინფორმაციის შეგროვებას, დამუშავებასა და მათ საფუძველზე მოძრაობის ოპტიმალური რეჟიმებით ნაკადების რეგულირებას. ავტომატიზებულ სისტემასთან მიერთებული შუქნიშნებით შესაძლებელია ავტომატურად იმართოს საგზაო მოძრაობა. შუქნიშნის მუშაობის მახასიათებლების ავტომატური ცვლილება საშუალებას იძლევა მაქსიმალურად შემცირდეს დაყოვნება გზაჯვარედინებზე.

6. „საქალაქო და საქალაქთაშორისო საზოგადოებრივი ტრანსპორტის შემდგომი განვითარება/განახლება (ნაკლებად დამაბინძურებელი სატრანსპორტო საშუალებების დაწერგვა, როგორიცაა ელექტროტრანსპორტი და სხვ.)“. 2016 წლიდან მგზავრებს ემსახურება ევროპული სტანდარტის ორსართულიანი Stadler Kiss მოდელის მატარებელი. თბილისიდან ზღვისპირა რეგიონების მიმართულებით მგზავრთა გადაყვანა დაიწყო კომფორტული „METRO“-ს ავტობუსების საშუალებით. 2015 წელს დაიწყო თბილისი მეტროს ახალი 23-ე სადგურის მშენებლობა. გაიხსნა 2 საბაგირო. 2016 წლიდან თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ დაიწყო ავტობუსების პარკის განახლება. ავტოპარკს დაემატა დიზელთან შედარებით ეკოლოგიურად გაცილებით უფროს სუფთა საწვავზე - ბუნებრივ აირზე მომუშავე ევრო 6 კლასის 146 გერმანული წარმოების შშმ პირებზე ადაპტირებული ავტობუსი.

რაც შეეხება საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამის (2017-2021) დამტკიცებას, პროგრამის პროექტი შემუშავებულია და კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების შესაბამისად იქნება დამტკიცებული.

„საავტომობილო ბენზინის ხარისხობრივი ნორმების ან/და დიზელის საწვავის შემადგენლობის ნორმების შემოწმებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების საფუძველზე, 2016-2017 წლებში, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ საავტომობილო ბენზინის და დიზელის საწვავის ხარისხობრივი მაჩვენებლების კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ საკვლევი დიზელის საწვავის რიგ ნიმუშებში გოგირდის შემცველობა ვერ აკმაყოფილებდა „დიზელის საწვავის შემადგენლობის ნორმების, ანალიზის მეთოდებისა და მათი დანერგვის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 28 დეკემბრის №238 დადგენილებით განსაზღვრულ ნორმებს.

გამოვლენილ დარღვევებთან დაკავშირებით, დეპარტამენტის მიერ გატარდა მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული რეაგირება და შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმები, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 913-ე მუხლის შესაბამისად. ოქმები თანდართული მასალებით განსახილველად გადაიგზავნა უფლებამოსილ სასამართლოში.

გარდა ზემოაღნიშნულისა, 2018 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“ საქართველოს კანონი, რომლის მიხედვითაც, გზშ-ს (გარემოზე ზემოქმედების შეფასება) სამინისტროსთვის წარდგენის შემდეგ, სამინისტროს შესაბამისი ექსპერტების ჯგუფის დასკვნის საფუძველზე განიხილავს და იღებს გადაწყვეტილებას (ნებართვა) საქმიანობის დაწყების ან საქმიანობაზე უარის შესახებ. გარემოზე ზემოქმედების შეფასება საჭიროებს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“ საქართველოს კანონის დანართი 1-ით გათვალისწინებული საქმიანობები (ძირითადად ნავთობპროდუქტების მრეწველობა, საზღვაო პორტები და მსგავსი დიდი მასშტაბების პროექტები), ხოლო ამავე კანონის დანართი 2-ით გათვალისწინებული საქმიანობის

განხორციელებისას (მაგ: სოფლის მეურნეობა, მეტყევეობა, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება და სხვ. (მითითებულია ლიმიტები)), სანამ გარემოზე ზემოქმედების შეფასება გაკეთდება, იმის დასადგენად, საჭიროა თუ არა აღნიშნული გზშ ტარდება სკრინინგი ან/და სკოპინგი. თუ სკრინინგის სამინისტროსთვის წარდგენისას სამინისტრო გადაწყვეტს, რომ საქმიანობა საჭიროებს გზშ-ს, ამ შემთხვევაში დაინტერესებული მხარე ვალდებულია გააკეთოს გზშ და მიმართოს სახელმწიფოს.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის შესაბამისად, „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ეკოლოგიური ექსპერტიზისადმი დაქვემდებარებული საქმიანობები, რომელთა განხორციელებაც 2015 წლის 1 ივნისამდე დაიწყო და რომლებსაც არ აქვს გარემოზე ზემოქმედების ნებართვა ან მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილება, საჭიროებს სამინისტროს მიერ მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღებას, ხოლო საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების უფლების მისაღებად სამინისტროს მიმართოს 2019 წლის 1 ივნისამდე.

2018 წლის 30 აპრილს, კომისიამ საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით (წერილი N03-03181205) მიმართა სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს.

აღნიშნული წერილის პასუხად სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოსგან მივიღეთ შემდეგი სახის ინფორმაცია:

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო ქ. თბილისში ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგს ახორციელებს 4 ავტომატური სადგურების საშუალებით. ვაშლიჯვარში განთავსებული ავტომატური სადგური ექსპლუატაციაში შევიდა 2012 წელს, ხოლო წერეთლის გამზირზე, ყაზბეგის გამზირზე და ვარკეთილის 3-ში განთავსებული სადგურები 2016 წელს.

2017 წლის განმავლობაში ვაშლიჯვრის სადგურზე იზომებოდა აზოტის ოქსიდი და დიოქსიდი NOx, ნახშირჟანგი, ოზონი, ხოლო დანარჩენ სამ სადგურზე იზომება შემდეგი დამაბინძურებლები: აზოტის ოქსიდი; აზოტის დიოქსიდი NOx, გოგირდის დიოქსიდი, ნახშირჟანგი, ოზონი, PM10 და PM2.5. ვაშლიჯვრის სადგურზე, ასევე, ხდება ატმოსფერული ჰაერის სინჯების აღება მათში ტყვიის კონცენტრაციის დადგენის მიზნით.

მონიტორინგის არეალის გაფართოებისა და განსაზღვრული კომპონენტების რაოდენობის გაზრდის მიზნით სააგენტომ 2015 წლიდან დაიწყო ატმოსფერული ჰაერის ხარისხის ინდიკატორული გაზომვები. სულ ჩატარდა 11 ეტაპი, აქედან 2017 წელს - ოთხი. ისაზღვრებოდა გოგირდისა და აზოტის დიოქსიდების, ბენზოლისა და ოზონის შემცველობები.

2017 წლის იანვრიდან ოქტომბრის ჩათვლით ქალაქ თბილისში ატმოსფერული ჰაერის მონიტორინგი წარმოებდა ერთი ფონური ავტომატური სადგურის საშუალებით,

რომელიც მდებარეობს ვაშლიჯვარის მეტეოროლოგიური სადგურის ტერიტორიაზე (მარშალ გელოვანის გამზ.№6). ამ სადგურზე იზომებოდა შემდეგი მავნე დამაბინძურებლების კონცენტრაციები: ნახშირჟანგი, აზოტის ოქსიდი და დიოქსიდი, NOx და ოზონი.

ვაშლიჯვარის ფონურ ავტომატურ სადგურზე ნახშირჟანგის, აზოტის ოქსიდისა და დიოქსიდის ათი თვის საშუალო კონცენტრაციები ნორმის ფარგლებში იყო. ოზონის საშუალო კონცენტრაცია 0,044 მგ/მ³ 1.5-ჯერ აღემატებოდა შესაბამის ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას.

ქალაქ თბილისში ატმოსფერული ჰაერის მონიტორინგი ასევე წარმოებდა სამი ავტომატური სადგურის საშუალებით, რომლებიც განლაგებულნი არიან წერეთლისა და ყაზბეგის გამზირზე, ასევე ვარკეთილში. ამ სადგურებზე იზომებოდა შემდეგი დამაბინძურებლების კონცენტრაციები: PM₁₀, PM_{2.5}, ნახშირჟანგი, გოგირდის დიოქსიდი, აზოტის ოქსიდი და დიოქსიდი, NOx და ოზონი.

წერეთლის გამზირზე გოგირდის დიოქსიდის, ნახშირჟანგისა და ოზონის საშუალო წლიური კონცენტრაციები ნორმის ფარგლებში იყო. აზოტის დიოქსიდის საშუალო წლიური კონცენტრაცია 0.058 მგ/მ³ 1.5-ჯერ აღემატებოდა შესაბამის ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას, ხოლო აზოტის ოქსიდის 0.085 მგ/მ³ – 1.4-ჯერ.

ყაზბეგის გამზირზე აზოტის დიოქსიდისა და ოქსიდის, გოგირდის დიოქსიდისა და ნახშირჟანგის საშუალო წლიური კონცენტრაციები ნორმის ფარგლებში იყო, ხოლო ოზონის საშუალო წლიური კონცენტრაცია 0.041 მგ/მ³ 1.4-ჯერ აღემატებოდა შესაბამის ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას.

ვარკეთილში აზოტის დიოქსიდისა და ოქსიდის, გოგირდის დიოქსიდისა და ნახშირჟანგის საშუალო წლიური კონცენტრაციები ნორმის ფარგლებში იყო, ხოლო ოზონის საშუალო წლიური კონცენტრაცია 0.055 მგ/მ³ 1.8-ჯერ აღემატებოდა შესაბამის ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას.

წერეთლის გამზირზე, ყაზბეგის გამზირსა და ვარკეთილში მთელი წლის განმავლობაში განსაზღვრული PM10-ის შემცველობა შედარებული იქნა ევროკავშირის მიერ დადგენილ 24 საათიან ნორმასთან - 0.05 მგ/მ³ და ასევე წლიურ დასაშვებ კონცენტრაციასთან- 0.04 მგ/მ³.

წერეთლის გამზირზე ნორმას აღემატებოდა PM10-ის 212 დღის მონაცემი და მისი ყველაზე მაღალი კონცენტრაცია - 0.165 მგ/მ³ დაფიქსირდა 17 იანვარს და ის 3.3-ჯერ აღემატებოდა დასაშვებ მნიშვნელობას. ყაზბეგის გამზირზე ნორმაზე გადაჭარბებული კონცენტრაციები დაფიქსირდა 86 დღის განმავლობაში: მაქსიმუმი აღინიშნა 7 სექტემბერს, როცა PM10-ის შემცველობამ მიაღწია 0.139 მგ/მ³-ს, რაც 2.8-ჯერ აღემატებოდა ნორმას, ხოლო ვარკეთილში გადაჭარბება დაფიქსირდა ასევე 85 დღის განმავლობაში და მისმა მაქსიმალურმა მნიშვნელობამ 18 იანვარს შეადგინა 0.130 მგ/მ³, რაც დასაშვებ მნიშვნელობას აღემატებოდა 2.6-ჯერ. რაც შეეხება PM10-ის საშუალო წლიურ მნიშვნელობას, ის წერეთლის

გამზირზე 1,5-ჯერ, ყაზბეგის გამზირზე უმნიშვნელოდ, ხოლო ვარკეთილში არ აღემატებოდა დასაშვებ ნორმას.

PM2,5-ის შემცველობა ასევე შედარებული იქნა ევროკავშირის მიერ დადგენილ წლიურ დასაშვებ კონცენტრაციასთან - 0.025 მგ/მ³. ყაზბეგის გამზირსა და ვარკეთილში მისი შემცველობა არ აღემატებოდა ნორმას, ხოლო წერეთლის გამზირზე კი აღინიშნა ნორმაზე უმნიშვნელო გადაჭარბება.

ქალაქ თბილისში ტყვიის საშუალო წლიური მნიშვნელობა არ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას.

2017 წელს ქ. თბილისში ჩატარდა 110 ინდიკატორული გაზომვა ოთხ ეტაპად ქალაქის 21 წერტილში. აქედან აზოტის დიოქსიდის - 80, გოგირდის დიოქსიდის - 6, ოზონის - 12 და ბენზოლის 12 გაზომვა. ყველგან დაფიქსირდა გოგირდის დიოქსიდისა და ოზონის დაბალი ინდექსები. აზოტის დიოქსიდის ინდექსი მხოლოდ 15 შემთხვევაში იყო დაბალი, 55 შემთხვევაში - საშუალო, ხოლო 10 შემთხვევაში - მაღალი. ბენზოლის ინდექსი 9 შემთხვევაში იყო დაბალი, ხოლო 3 შემთხვევაში - საშუალო.

სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტო ამ ეტაპზე ვერ ახორციელებს იმ არახელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობების პროგნოზირებას, რომლებიც ზღუდავენ ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გავრცელებას, რადგანაც არ წარმოებს ატმოსფეროს ვერტიკალური ზონდირების სამუშაოები. სწორედ ასეთი სახის აეროლოგიური დაკვირვებები აუცილებელია ატმოსფეროში ტემპერატურული ინვერსიის არსებობის დადგენისათვის. აღნიშნული სამუშაოების დაწყება გათვალისწინებულია 2019-2022 წლებში.

რაც შეეხება ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მოდელირებას, ამჟამად მიმდინარეობს ერთობლივი სამუშაოები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იულისის კვლევითი ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელთა ჩართულობით.

2018 წლის 15 მაისს, კომისიამ საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით (წერილი N03-031813530) მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

აღნიშნულ წერილზე კომისიამ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურისგან პასუხად მიიღო შემდეგი ინფორმაცია:

- ხმაურის მანორმირებელი პარამეტრების დარღვევა გამოვლინდა და შესაბამისი სარეკომენდაციო წერილი გაეგზავნა 2015 წელს - 69 ობიექტს, 2016 წელს - 134 ობიექტს, ხოლო 2017 წელს - 55 ობიექტს. რაც შეეხება ავტოტრანსპორტის მოძრაობით გამოწვეული ხმაურის დონის დადგენას, იმის გამო, რომ საკითხი სცდებოდა საქალაქო სამსახურის კომპეტენციას, მონაცემები დაუდგენელია.

2018 წლის 1-ლ მაისს, კომისიამ ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით (წერილი N03-031812166) მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს.

კომისიამ დეპარტამენტიდან მიიღო შემდეგი ინფორმაცია: 2018 წლის 1 იანვრიდან 24 მაისამდე პერიოდში საქართველოს მასშტაბით პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების კანონმდებლობით დადგენილი წესით გავლის გარეშე სატრანსპორტო საშუალების მართვის, ან სხვა პირისთვის სამართავად გადაცემის (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 118-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილები) 2280 სამართალდარღვევა დაფიქსირებული, მათ შორის თბილისში - 213.

2018 წლის 30 აპრილს, კომისიამ საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით (წერილი N03-0318120102) მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურს.

აღნიშნულ წერილზე კომისიამ პასუხად მიიღო დეტალური ინფორმაცია ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტის (მეტრო), ასევე მუნიციპალური ავტობაზების (M₂, M₃ კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების) შესახებ.

ამ მიმართულებით, განსაკუთრებით ყურადღებაა გასამახვილებელი შემდეგ საკითხებზე:

- ✓ მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტის (მეტრო)

მიმდინარე 2018 წელს განხორციელდა 2 სამვაგონიანი სამატარებლო შემადგენლობის კაპიტალური შეკეთება მოდერნიზაციით. მიმდინარეობს კიდევ 2 ოთხვაგონიანი სამატარებლო შემადგენლობის საშუალო შეკეთება, მოდერნიზაციით. სამატარებლო შემადგენლობების აღნიშნული რაოდენობები საშუალებას იძლევა 15 სექტემბრიდან ზამთრის გრაფიკზე გადასვლისას მატარებელთა მოძრაობა განხორციელდეს სამუშაო დღის პიკის საათებში 3 წუთიანი ინტერვალით.

მგზავრნაკადის თანდათანობითი მატების ტენდენციიდან გამომდინარე სამომავლოდ იგეგმება ახალი სამატარებლო შემადგენლობების შესყიდვა, რაც უზრუნველყოფს მოძრაობის ინტერვალის შემდეგ შემცირებას და უფრო კომფორტულს გახდის მეტროპოლიტენით მგზავრობას.

- ✓ M₂ კატეგორიის მიკროავტობუსები

1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M₂ კატეგორიის ავტობუსებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის მფლობელი კომპანიის შპს „თბილ ლაინი“-სადმი მიკუთვნებულ საკითხებზე:

- შპს „თბილ ლაინის“-ს სარგებლობაში არსებული მ2 კატეგორიის ავტობუსები წარმოებულია 2011-2012 წლებში და მათი ჯამური რაოდენობა პირველი და მეოთხე ლოტისათვის შეადგენს 880 ერთეულს.

- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანა დღის განმავლობაში ხორციელდება ორივე ლოტისათვის მინიმუმ 776 ერთეული მ2 კატეგორიის ავტობუსით.
- ერთი მ2 კატეგორიის ავტობუსი დღის განმავლობაში გადის საშუალოდ 190-200 კილომეტრს და საწვავის დღიური მოხმარება შეადგენს 30-35 ლიტრა დიზელის საწვავს.

2. კომპანიის შპს „კაპიტალ გრუპი“-სადმი მიკუთვნებულ საკითხებზე:

- შპს „კაპიტალ გრუპ“-ის სარგებლობაში არსებული მ2 კატეგორიის ავტობუსები წარმოებულია 2011-2012 წლებში და მათი ჯამური რაოდენობა შეადგენს 305 ერთეულს.
- თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანა დღის განმავლობაში ხორციელდება მინიმუმ 272 ერთეული მ2 კატეგორიის ავტობუსით.
- ერთი მ2 კატეგორიის ავტობუსი დღის განმავლობაში გადის საშუალოდ 190-200 კილომეტრს და საწვავის დღიური მოხმარება შეადგენს 30-35 ლიტრ დიზელის საწვავს.

3. კომპანიის შპს „თბილ ქარ“-ისადმი მიკუთვნებულ საკითხებზე:

- შპს „თბილ ქარ“-ის სარგებლობაში არსებული მ2 კატეგორიის ავტობუსები წარმოებულია 2011-2012 წლებში და მათი ჯამური რაოდენობა შეადგენს 369 ერთეულს.
- თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანა დღის განმავლობაში ხორციელდება მინიმუმ 310 ერთეული მ2 კატეგორიის ავტობუსით.
- ერთი მ2 კატეგორიის ავტობუსი დღის განმავლობაში გადის საშუალოდ 190-200 კილომეტრს და საწვავის დღიური მოხმარება შეადგენს 30-35 ლიტრ დიზელის საწვავს.

1. კომპანიის შპს „ფაბლიქ ქარ“-ისადმი მიკუთვნებულ საკითხებზე:

- შპს „ფაბლიქ ქარ“-ის სარგებლობაში არსებული მ2 კატეგორიის ავტობუსები წარმოებულია 2011-2012 წლებში და მათი ჯამური რაოდენობა შეადგენს 446 ერთეულს.
- თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანა დღის განმავლობაში ხორციელდება მინიმუმ 379 ერთეული მ2 კატეგორიის ავტობუსით.
- ერთი მ2 კატეგორიის ავტობუსი დღის განმავლობაში გადის საშუალოდ 190-200 კილომეტრს და საწვავის დღიური მოხმარება შეადგენს 30-35 ლიტრ დიზელის საწვავს.

- აღნიშნული ავტოსატრანსპორტო რაოდენობების საერთო ჯამი შეადგენს 2000 ერთეულს და წარმოებულია 2011-2012 წლებში.

დედაქალაქის ტერიტორიაზე ერთი დღის მანძილზე მოძრაობს მინიმუმ 1737 მიკროავტობუსი.

✓ M3 კატეგორიის ავტობუსები

| მონაცემები ავტობაზების მიხედვით | | | | | |
|---------------------------------|-----------|---|----------------------------------|---|--|
| მარკა | რაოდენობა | ხნოვანება (გამოშვების წელი) | რა მარკის საწვავს მოიხმარს | თვეში საშუალოდ რა რაოდენობის საწვავი იხარჯება | შენიშვნა |
| 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
| A-092 | 273 | 2005- 11 ავტ 2006 – 1 2007 – 257 2008 - 4 | დიზელი | 268,0 ათ. ლ | მათ შორის 9 ავტობუსი წარდგენილია ჩამოწერაზე |
| დაფი | 1 | 1983 | დიზელი | - | კაბრიოლეტი |
| A 1445 | 148 | 2008 - 148 | დიზელი | 187,6 ათ. ლ | |
| „მერსედეს - 0345 | 5 | 1997 – 5 ავტ | დიზელი | 13,3 ათ. ლ | 2018 წლის 15 აპრილიდან არ არის ექსპლუატაციაში |
| მანი | 144 | 2016 - 41 ავტ. 2017 – 103 ავტ. | აირი | 500,0 ათ. ლ ³ | |
| A 092 | 248 | 2005 – 76 ავტ. 2006 – 56 ავტ. 2007 – 107 ავტ. 2008 – 9 ავტ. | დიზელი | 227,1 ათ. ლ. | მათ შორის 5 ავტობუსი წარდგენილია ჩამოწერაზე |

2017 წლის ნოემბრიდან 2018 წლის 1-ლ ნოემბრამდე კომისიაში განსახილველად
შემოსული წერილები/განცხადებები

საანგარიშო პერიოდში, 2017 წლის ნოემბრიდან 2018 წლის 1-ლ ნოემბრამდე კომისიაში
შემოვიდა 175 განცხადება/წერილი, რომელზეც შესაბამისი რეაგირება განხორციელდა
ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად.

2017 წლის ნოემბრიდან 2018 წლის 1-ლ ნოემბრამდე კომისიის მიერ გამოთხოვილი
საჯარო ინფორმაცია

საანგარიშო პერიოდში, 2017 წლის ნოემბრიდან 2018 წლის 1-ლ ნოემბრამდე, სხვადასხვა სახელმწიფო და ადგილობრივი ორგანოებიდან, კომისიის მიერ გამოთხოვილი იქნა საჯარო ინფორმაციები - სულ: 23 წერილი.

აქედან, 16 წერილზე პასუხი მიღებულია, ხოლო 7 წერილზე პასუხი მოლოდინის რეჟიმშია.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის წევრის საქმიანობა

განათლებისა და კულტურის კომისიის მიერ, 2017 წლის ნოემბრიდან 2018 წლის 1-ლ ნოემბრამდე ჩატარებული 22 სხდომიდან მონაწილეობა მივიღე 20 სხდომაში. საანგარიშო პერიოდში, კომისიის სხდომებზე განხილული 30 საკითხიდან შევისწავლე და განვიხილე შემდეგი 27 საკითხი:

1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის წევრების დანიშვნის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ (12-031731944-03);
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე ბადრი გიორგიძის დანიშვნის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ (19-031732038-03).
- 3.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ (#12-031731434-03; 10.11.2017).
4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 დეკემბრის N30-87 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (12-031733421-03; 30.11.2017).
- 5.,„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-031734272-03-08/12/2017).
6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის N33-94 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ” (12-03173414-03;07.12.2017);

7. „ქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის არჩევა.
8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 დეკემბრის N30-87 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (12-031735686-03; 22.12.2017).
9. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურების შერწყმა; (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების ცვლილება, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის დებულება და საშტატო ნუსხა).
10. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გამგეობების ტიპური დებულება და საშტატო ნუსხა.
11. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის N6-8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-0318044124-03).
12. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსად ირაკლი გვილავას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის განკარგულების პროექტის განხილვა (12-031804637, 15.02.2018).
13. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების“ დაფუძნების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსგან თანხმობის მიღების თაობაზე“ (12-03180607-03; 01.03.2018);
14. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე (12-03180531-03; 22.02.2018):
 - ა) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამების „კულტურის ონისძებები“ (08.05), „შემოქმედებითი თბილისი“ (08.09) დ „ინკლუზიური

ხელოვნების ხელშეწყობა“ (08.13) განხორციელების წესები (12-03180531-03; 22.02.2018);

- ბ) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამების „პროფესიული და ზრდასრულთა განათლების განვითარების ხელშეწყობა“ (07.04) ქვეპროგრამების: „ინტელექტუალური, საგანმანათლებლო და შემეცნებითი პროექტების ხელშეწყობა“ (07.02.01), „უწყვეტი განათლების სისტემის განვითარების ხელშეწყობა“ (07.05.01), „სპორტული ღონისძიებები“ (08.06.01), „ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა“ (08.08.01) განხორციელების წესი (12-03180531-03; 22.02.2018);
- გ) ქალაქ თბილისის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სოციალურად დაუცველი და წარმატებული სტუდენტების ხელშეწყობა“ (07.05.03) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარმატებული სტუდენტების წახალისებისა და სოციალური დაუცველი სტუდენტების დაფინანსების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 თებერვლის N3-11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის საკითხები (12-03180531-03; 22.02.2018).
15. ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ანგარიში განხორციელებული სამუშაოების შესახებ (22.11.2017 – 22.02.2018).
16. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „თბილისის ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლის“ (ს/კ 202056069) ლიკვიდაციის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (წერილი: №12-03180797-03; 20.03.2018).
17. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის N6-8 დადგენილებაში ცვლილების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;
18. სსიპ ქალაქ თბილისის N212 საჯარო სკოლისთვის ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელის მინიჭების საკითხი;
19. განათლებისა და კულტურის კომისიაში შემოსული განცხადება ქართველი პოეტის ვანლერ დაისელის წიგნის გამოცემასთან დაკავშირებით.

- 20.ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ გაწეული სამუშაოების შესახებ ანგარიშის განხილვა;
- 21.„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და მეგლთადაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 აპრილის №9-34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა (წერილი: № 12-031815226-03; 01.06.2018).
- 22.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის - „კულტურული ღონისძიებები” (კოდი: 08 05) - ფარგლებში კულტურის სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავების მიზნით განხორციელებული საქმიანობის შესახებ ანგარიშის განხილვა.
- 23.„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „თბილისის მედიათეკების გაერთიანების“ (ს/კ 404967087) ლიკვიდაციის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსგან თანხმობის მიღების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.
- 24.„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის N6-8 დადგენილებაში ცვლილების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;
- 25.„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე აღექსანდრე ტოგონიძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა (N12-031822769-03).
- 26.სსიპ ქალაქ თბილისის 106-ე საჯარო სკოლისთვის ზურა იარაჯულის სახელის მინიჭების თაობაზე (19/031826467-03; 24.09.2018).

27. а) „ქალაქ თბილისში ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსის - „თბილისი“ ჩატარების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 8 მაისის N11-41 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
- ბ) „ქალაქ თბილისში ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსის - „თბილისი“ ჩატარებისათვის განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 8 მაისის N128 განკარგულების მალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ წევრის საქმიანობა

მე, როგორც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ წევრი, 2017 წლის წლის ნოემბრიდან 2018 წლის 1-ლ ნოემბრამდე ფრაქციის მიერ ჩატარებული 33 სხდომიდან დავესწარი 24 სხდომას და ფრაქციის სხდომაზე განხილული 53 საკითხიდან მონაწილეობა მივიღე 40 საკითხის განხილვაში.

4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობაში მონაწილეობა

მე, როგორც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, მეექვსე მოწვევის საკრებულოს უფლებამოსილების დღიდან (2017 წლის ნოემბრიდან) 2018 წლის 1-ლ ნოემბრამდე ჩატარებული 29 სხდომიდან დავესწარი 28 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 524 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (აქედან, 127 დადგენილების და 397 განკარგულების პროექტის) განხილვა-მიღების პროცესში.

5. სხვა აქტივობები:

➤ ღონისძიებები:

1. 2018 წლის 22 აპრილი - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის, ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციების (USAID და CENN) ერთობლივი კამპანიის ფარგლებში, კომისიის სახელით მონაწილეობა ვერის პარკში გამართულ დასუფთავების აქციაში.
2. 2018 წლის 5 მაისი - კომისიის სახელით მონაწილეობა პროექტში „თბილისის ისტორიები საკრებულოდან“ (თემა: „თბილისის ისტორიული პარკები და ბაღები“).

3. 2018 წლის 5 ივნისი - გარემოს დაცვის კომისიამ მონაწილეობა მიიღო გარემოს დაცვის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილ შემდეგ ღონისძიებებში:

- 1) ბერი გაბრიელ სალოსის გამზირზე 47-49 კორპუსების მიმდებარედ არსებული სკვერის სრული რეაბილიტაცია-გამწვანება - აღნიშნული პროექტი განხორციელდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურისა და შპს „ეკოსერვისის“ მიერ.
- 2) სს „ვისოლ ჯგუფის“ მიერ გარემოს დაცვის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება და ელექტროტრანსპორტის გამოფენა. ღონისძიება მიზნად ისახავდა ეკო-მეგობრული ტრანსპორტის პოპულარიზაციასა და გარემოს მიმართ პასუხისმგებლობის გაცნობიერებას.
- 3) USAID-ის მხარდაჭერით და CENN (Caucasus Environmental NGO Network)-ის პროგრამა WMTR II-ს ფარგლებში, საქართველოს ეროვნულ ბოტანიკურ ბაღში გამართული ღონისძიება - „უთხარი პლასტმასს არა“.

➤ შეხვედრები:

1. 2018 წლის 14, 15, 20 ივნისი - შინაურ და უპატრონო ცხოველებთან დაკავშირებულ საკითხებზე (პოპულაციების მართვა და მოვლა-პატრონობა) შედგა სამუშაო ხასიათის შეხვედრები ცხოველთა უფლებების დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციების, ვეტერინარებისა და კინოლოგების წარმომადგენლებთან.

უნდა აღინიშნოს, დღეს ცხოველების პოპულაციების მართვისა და მოვლა-პატრონობის მიმართულებით, წინა წლებთან შედარებით უკეთესი სიტუაცია: 2015-2016 წლებში შემუშავდა და დამტკიცდა ცხოველების პოპულაციების მართვის, მათი აღრიცხვა-იდენტიფიკაციის, მონიტორინგისა და მოვლა-პატრონობის წესები; მკაფიოდ განისაზღვრა ურბანულ გარემოში ბინადარ ცხოველთა სტატუსი; შეიქმნა შესაბამისი უფლებამოსილი მუნიციპალური ორგანო - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო. ხოლო, 2018 წლიდან, სააგენტოს ახალმა ხელმძღვანელობამ შეცვალა სააგენტოს საქმიანობის პოლიტიკა, პრიორიტეტი მიენიჭა საჯაროობის, სააგენტოს საქმიანობაში საზოგადოების აქტიური ჩართულობის, ცხოველთა მიმართ ჰუმანური მოპყრობის პრინციპებსა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების გატარებას. მიუხედავად ამისა, მაინც აქტუალურია ისეთი საკითხები, როგორიცაა:

- 1) უპატრონო ცხოველების ჰიპერპოპულაციების მართვის კონტროლი, რომელიც სტერილიზაცია-კასტრაციის საშუალებით უნდა იქნას დარეგულირებული;
- 2) უპატრონო ცხოველების (განსაკუთრებით, ე.წ. ქუჩაში მობინადრე ცხოველების) ვაქცინაცია (მათ შორის „ანტირაბიული“, ცალკეულ შემთხვევებში – „კომპლექსური“);
- 3) ცხოველების გაჩუქება, მიკედლება ან/და დაინტერესებულ პირთათვის მათი დაბრუნება, საჭიროების შემთხვევაში შემდგომში მათი მოვლა-პატრონობის პირობების კონტროლი;

- 4) კონკრეტული (ე.წ. „ჯიშიანი“) და ნარევი (ე.წ. „მეტისი“) ჯიშის ცხოველების (ძაღლების) პოპულაციის მართვა და კონტროლი;
- 5) ქალაქ თბილისში, ცხოველთა ბაზრობაზე (ე.წ. „დიღმის ცხოველთა ბაზრობა“) და ზოგადად, შინაური ცხოველებით (ძაღლების, კატები) ვაჭრობის პრობლემა;
- 6) ადგილობრივი მუნიციპალური ცხოველთა თავშესაფრების სიმცირე (მხოლოდ ერთი) და კერძო თავშესაფრების საკითხის მოუწესრიგებლობა;
- 7) ცხოველთა მუნიციპალურ თავშესაფარში ეპიდემიის (მაგ., ჭირის) გავრცელების რისკები და ამ რისკების მინიმუმადე დაყვანა;
- 8) სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობების (მუნიციპალიტეტების) შეთანხმებული, უპატრონო ცხოველებთან დაკავშირებული პრობლემების ეტაპობრივად გადაწყვეტა-მოგვარების ერთიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება;
- 9) მეპატრონის მიერ ცხოველების (ძაღლების) სოციალური ქცევის კორექცია (აღზრდა), რომელიც დღეს სავალდებულო ხასიათს არ ატარებს.

გარდა ზემოაღნიშნულისა, შეხვედრებზე გამოიკვეთა რამდენიმე ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორიცაა:

- 1) მთის მეცხვარული ძაღლის ქართული ენდემური სახეობის (თართი) გამრავლება და მსოფლიო დონეზე მისი, როგორც ქართულ აბორიგენულ ჯიშად აღიარების ხელშეწყობა.
 - 2) კინოლოგიური ფედერაციებისთვის ხელშეწყობა საერთაშორისო და ადგილობრივი მნიშვნელობის სპორტულ-პროფესიული შეჯიბრებებისა და გამოფენების ჩატარების მიმართულებით, რაც განავითარებს ერთი მხრივ, დედაქალაქის ტურისტულ პოტენციალს და მეორე მხრივ, მოზარდებსა და ახალგაზრდებთან სპორტული მიმართულებით მუშაობას, ხოლო საგანამანათლებლო-შემეცნებითი ღონისძიებების დახმარებით მოხდება ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება;
 - 3) ვეტერინარული კლინიკების ჩართვა ცხოველთა ჰიპერპოპულაციების მართვის ღონისძიებებში.
2. 2018 წლის 25 ივნისი - ქალაქ თბილისში ჰაერისა და მდინარე მტკვრის დაბინძურების საკითხებთან დაკავშირებით შედგა შეხვედრა საერთაშორისო ორგანიზაცია „წყლის გლობალური პარტნიორობა - საქართველო“-ს ხელმძღვანელ ბატონ გიორგი ძამუკაშვილთან.

შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა დედაქალაქში ატმოსფერული ჰაერის დამაბინძურებელ წყაროებზე, მუნიციპალური ტრანსპორტის ტექნიკურ მდგომარეობაზე, ჰაერის დაბინძურების შემარბილებელ ღონისძიებებზე, „მწვანე შენობების“ (ვერტიკალური და შენობების სახურავების გამწვანების) სტანდარტების დანერგვა-ხელშეწყობაზე; ასევე, მდინარე მტკვრის სანიტარულ მდგომარეობასა და მისი სარეკრეაციო ფუნქციის გამლიერებაზე, გარემოსდაცვით ღონიძიებებში საზოგადოების ჩართულობის აუცილებლობაზე.

გარდა ზემოაღნიშნულისა, შეხვედრებზე გამოიკვეთა რამდენიმე ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორიცაა:

- მდინარე მტკვრის სარეკრეაციო და ტურისტული ფუნქციის გაძლიერება;
- საგანმანათლებლო დაწესებულებებში გარემოსდაცვითი განათლების გაძლიერება;
- გარემოს დაცვის მიმართულებით (წყალი, ატმოსფერული ჰაზი) საკანონმდებლო ბაზის ჰარმონიზაცია საერთაშორისო ნორმებთან და ხელშეკრულებებთან მიმართებაში.

3. 2018 წლის 26 ივნისი, 1-ლი აგვისტო, 11 ოქტომბერი, 24 ოქტომბერი - სამუშაო შეხვედრები თემაზე მდ. ვერეს დახურული კალაპოტის პრობლემატიკა. გარდა კომისიის წევრებისა, აღნიშნულ სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობა მიიღეს საკრებულოს წევრებმა, შესაბამისი მუნიციპალური და სახელმწიფო სამსახურების, ასევე, დარგის ექსპერტ-სპეციალისტებმა.

შეხვედრაზე სტუმრებმა ყურადღება გაამახვილეს მდ. ვერეს დახურული კალაპოტის თემაზე, კერძოდ, 2015 წლის 13-14 ივნისის სტიქიური მოვლენების შემდეგ (რამაც გამოიწვია ადამიანების მსხვერპლი და მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი), მდ. ვერეს დახურული კალაპოტის სარეაბილიტაციო სამუშაოების ხარისხის, ასევე რისკისშემცველი ფაქტორებისა და სამომავლოდ განსახორციელებელი პრევენციული ღონისძიებების (მათ შორის სამოქმედო გეგმის შემუშავების) თაობაზე.

საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, სამუშაო შეხვედრები გაგრძელდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურების მონაწილეობით.

პატივისცემით,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წევრი

ერეკლე კუხიანიძე